ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2024 წლის 26 იანვრის სხდომის

ოქმი #1

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2024 წლის 26 იანვარს შედგა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 28 წევრი, სხდომას ესწრებოდა 22 წევრი. სხდომას ასევე ესწრებოდნენ თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი შ.ფოთოლაშვილი, დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი ვ.ტრაპაიძე, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი თ.ჭელიძე, გეოლოგიის დეპარტამენტის უფროსი, ასოცირებული პროფესორი გ.ქუთელია, კანცელარიის უფროსი შ.ჩუბინიძე.

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი:

1. მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარის განხილვა;
2. პროგრამული ცვლილებები;
3. მიმდინარე საკითხები.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ განცხადება გააკეთა სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლების შესახებ, რომელთა საბჭოს წევრებად გახდომის უფლებამოსილების ცნობა ევალებოდათ საბჭოს წევრებს. საბჭოს სხდომას სულ 8 სტუდენტი ესწრებოდა (ბიოლოგიის დეპარტამენტიდან 3, კომპიუტერული მეცნიერების დეპარტამენტიდან 3, ფიზიკის დეპარტამენტიდან 1 და მათემატიკის დეპარტამენტიდანაც 1). ორი არჩეული სტუდენტი არ გამოცხადდა, ამასთან სხდომაზე მოსული სტუდენტებიდან 3 არ იყო არჩეული სტუდენტთა თვითმმართველობის ბოლო არჩევნებზე. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ამ სამ სტუდენტს, ასევე იმ ორს, რომელიც სხდომაზე არ გამოცხადდა, ვერ გაუწევს რეკომენდაციას ფაკულტეტის საბჭოს წევრად გახდომაზე.

აზრი გამოთქვეს პროფესორებმა ა. გამყრელიძემ, ლ. მაჭავარიანმა, ი. ჩიკვაიძემ, ნ. შათაშვილმა, მ. ხაჩიძემ.

განმარტება გააკეთა სტუდენტმა ვ.ბერიძემ, თუ რატომ წარმოადგინეს ფაკულტეტის საბჭოს წევრებად ისეთი სტუდენტები, რომლებიც თვითმმართველობის არჩევნებზე არ იყვნენ არჩეული, და მიუთითა თვითმმართველობის დებულებაზე.

პროფესორმა მ.ხაჩიძემ განმარტება გააკეთა სტუდენტთა არჩევის წესის შესახებ. თუ პირველი 10 წარმომადგენლიდან ვინმემ თქვა უარი (რაც წერილობით უნდა გაფორმდეს), მაშინ ისინი რეიტინგით მომდევნო სტუდენტებმა უნდა ჩაანაცვლონ. ამასთან, თუ ასეთ

სტუდენტებს საბჭოს წევრობა არ სურთ, ამის სურვილი წერილობით უნდა გამოხატონ, მიზეზების მითითებით.

დეკანმა წინადადება წამოაყენა, რომ აღნიშნული საკითხის განხილვა გადაიდოს მანამდე, სანამ არ მოწესრიგდება შესაბამისი დოკუმენტაცია სტუდენტთა თვითმმართველობის მხრიდან და კენჭისყრაზე დააყენა ეს საკითხი.

კენჭისყრის შედეგები: წინადადება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: ყველა სტუდენტის უფლებამოსილების ცნობა გადაიდოს თვითმმართველობის მხრიდან უნივერსიტეტის წესდების და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტების გათვალისწინებით შედგენილი სიის წარმოდგენამდე.

შემდეგ ფაკულტეტის საბჭო შეუდგა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვას.

1. **მოისმინეს:** ინფორმაცია დღის წესრიგის პირველი საკითხის - მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარის შესახებ. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, ბ-ნ შოთა ფოთოლაშვილს. მან აღნიშნა, რომ თსუ-ს დღეისათვის 26600 სტუდენტის მომსახურების საშუალება აქვს. აქედან ვაკანტურია 450 ადგილი, და მათ შორის დაახლოებით 50 ადგილი მობილობისათვისაა გამოყოფილი. შესაბამისად, მაგისტრატურისათვის დარჩენილია დაახლოებით 400 ადგილი. იმის გათვალისწინებით, რომ თსუ-ს აქვს 88 მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა, ბატონი შოთა წინადადებით შემოვიდა, რომ შარშანდელის ანალოგიურად, 10 თებერვლამდე ამ პროგრამებზე გამოცხადდეს შემცირებული კვოტები, ხოლო შემდეგ დაკორექტირდეს მისაღები კონტინგენტი.

შ.ფოთოლაშვილმა განმარტება გააკეთა, თუ როგორ ხდება კვოტის დაანგარიშება გამოცხადებული ადგილების გათვალისწინებით და რატომ ხდება ადგილების ეკონომია მაგისტრატურის ხარჯზე. ასევე ისაუბრა ამის უკან მდგარ ბიუროკრატიულ მექანიზმებზე, რასაც ამგვარ შედეგამდე მივყავართ. მან საბჭოს წევრებს შესთავაზა ორი გამოსავალი. პირველი - ყოველ სამაგისტრო პროგრამაზე გამოცხადდეს 4 ადგილი და ივნისის თვეში დააკორექტირონ. მეორე ვარიანტია გადააჭარბონ დასაშვებ რაოდენობას, რაც მიუღებელია და გამოიწვევს იმას, რომ თსუ საერთოდ ვერ გამოაცხადებს მაგისტრატურაში მიღებას. თავისი მხრივ, ბატონი შოთა შეჰპირდა საბჭოს წევრებს, რომ naec.ge-ზე მოხდება ბანერის დაქირავება ინფორმაციის განსათავსებლად იმის შესახებ, რომ ზაფხულისთვის სამაგისტრო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტი გაიზრდება.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა რ. ხომერიკმა, ო. ფურთუხიამ, ნ. შათაშვილმა, გ. ღვედაშვილმა, დ. ძიძიგურმა, მ. ხაჩიძემ. რ. ხომერიკმა საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია დეკანების შეხვედრის შესახებ, სადაც მსჯელობა იყო მაგისტრატურის ადგილების განაწილებაზე. დ. ძიძიგურმა აღნიშნა, რომ მსგავსი მოვლენები იწვევს იმას, რომ პოტენციური აპლიკანტები სხვა უნივერსიტეტებში მიდიან. შ. ფოთოლაშვილმა უპასუხა, რომ რეკრუტირების პრობლემა უფრო იმიტომ იქმნება, რომ თსუ სხვა უნივერსიტეტებზე გვიან აცხადებს მიღებას, რაც იმით არის განპირობებული, რომ თსუ ელოდება სამაგისტრო გამოცდების საბოლოო შედეგებს Naec-იდან. ერთ-ერთი გამოსავალია ის, რომ წინასწარ ჩატარდეს მისაღები გამოცდები, რაც ფაკულტეტის გადასაწყვეტია. ზოგადად, მას არსებითად მიაჩნია ის, რომ ადგილების განაწილების პრინციპი ერთნაირი იყოს ყველა ფაკულტეტისათვის.

ა. გამყრელიძემ აღნიშნა, რომ მისიის მიხედვით, თსუ არის კვლევითი უნივერსიტეტი, რასაც პირდაპირ უკავშირდება მაგისტრატურის წარმატებული ფუნქციონირება. ა. შენგელაიამ დაამატა, რომ მაგისტრატურის გარეშე უნივერსიტეტი დარჩება სასწავლო უნივერსიტეტად. გ. ღვედაშვილმა აღნიშნა, რომ თსუ-ს 88 სამაგისტრო პროგრამა აქვს და თუ ამის გათვალისწინებით ყველა პროგრამაზე 4-4 ადგილს გამოვაცხადებთ, კიდევ დარჩება 48 ადგილი. კარგი იქნება, თუ ეს ადგილები ზსმ ფაკულტეტს დაემატება, რაც შესაძლებელია გადაწყდეს აკადემიური საბჭოს სხდომაზე. თავის მხრივ, ბატონმა შოთამ შესთავაზა საბჭოს წევრებს, რომ თუ აღნიშნული საკითხის ინიცირება აკადემიურ საბჭოზე მოხდება ფაკულტეტის წარმომადგენლების მიერ, თვითონ მხარს დაუჭერს ფაკულტეტის ინიციატივას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, რომ თითოეულ პროგრამას გამოეყოს 4-4 ადგილი და დარჩენილი 48 ადგილის გამოყოფაზე თხოვნით მივმართოთ აკადემიურ საბჭოს.

კენჭისყრის შედეგები: წინადადებას მხარი დაუჭირა საბჭოს 15 წევრმა.

დაადგინეს: დამტკიცდეს მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარი, სადაც თითოეული პროგრამისათვის გამოყოფილია 4-4 ადგილი (იხ. დანართი 1). დარჩენილი 48 ადგილის გამოყოფაზე ფაკულტეტის საბჭო თხოვნით მიმართავს აკადემიურ საბჭოს.

2. მოისმინეს: დღის წესრიგის მეექვსე საკითხი - პროგრამული ცვლილებების შესახებ. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა პროფესორ გ.ღვედაშვილს. მან საბჭოს წევრებს გააცნო ცვლილებები ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამაში და სამაგისტრო პროგრამებში. ცვლილებები ემსახურება პროგრამის განვითარებასა და მიღების პროცედურის ოპტიმიზაციას.

ცვლილებები დანარჩენ პროგრამებში წარმოადგინა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა თამარ ჭელიძემ. ცვლილებები შეეხო შემდეგ პროგრამებს - საბაკალავრო პროგრამა „გეოლოგია“, სადოქტორო პროგრამა „გეოლოგია“, საბაკალავრო პროგრამა „გეოგრაფია“, სადოქტორო პროგრამა გეოგრაფია“; საბაკალავრო პროგრამებს: კომპიუტერული მეცნიერება (ქართულენოვანი), კომპიუტერული მეცნიერება (ფრანგულ-ქართული), კომპიუტერული მეცნიერება (ინგლისურენოვანი), ქიმია (ინგლისურენოვანი); სამაგისტრო პროგრამებს: მათემატიკა, გამოყენებითი მათემატიკა, გეოლოგია, ინფორმაციული სისტემები, ინფორმაციული ტექნოლოგიები, ფუნდამენტური ფიზიკა, გამოყენებითი ფიზიკა, ბიოფიზიკა, ქიმია, ქიმიური ექსპერტიზა, ბიოლოგია, „გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია“, „ფიზიკური გეოგრაფია და გარემოს მდგრადი განვითარება“, „გეომორფოლოგია, კარტოგრაფია და ლანდშაფტური დაგეგმარება“, „წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვა“. ცვლილებების მიზეზია პროგრამაზე მიღების პროცედურის ოპტიმიზაცია, პროგრამის განვითარება და ოპტიმიზაცია და პროგრამის პერსონალის ცვლილება (იხ. დანართი 2).

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა მ. ხაჩიძემ, ნ. შათაშვილმა, რ. ხომერიკმა. ქალბატონმა ნანამ და ბატონმა რამაზმა წინააღმდეგობა გამოთქვეს, რომ საგანს „ელექტრომაგნეტიზმი“ შეეცვალოს სტატუსი და სავალდებულოს ნაცვლად გახდეს არჩევითი. მ. ხაჩიძემ ითხოვა, რომ კენჭი ეყაროს ცვლილებებს ამის გამოკლებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი წარმოდგენილი პროგრამული ცვლილებების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: ცვლილებები დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი ცვლილებები სამაგისტრო პროგრამებში (იხ. დანართი 2).

3. მოისმინეს: დღის წესრიგის მესამე, მიმდინარე საკითხი - დოქტორანტის თემის დამტკიცება. საკითხი ქიმიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის შოთა ჩიხლაძის ხელმძღვანელისა და სადოქტორო თემის შესახებ გამოიტანა ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვაჟა ტრაპაიძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი დოქტორანტის ხელმძღვანელისა და სადისერტაციო თების დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ქიმიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტის შოთა ჩიხლაძის სადისერტაციო თემა: „კომპოზიციური მასალები ბუნებრივი ნედლეულისა და ორგანული და არაორგანული შემკვრელების საფუძველზე", ასევე ხელმძღვანელი - ასისტენტ პროფესორი თამარ თათრიშვილი.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,
ასოცირებული პროფესორი თინათინ დავითაშვილი